



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და  
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური  
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №10  
ივლისი 1 - აგვისტო 1, 2020

თბილისი, 2020

**ხელმძღვანელი:**

ვახუშტი მენაბდე

**ავტორი:**

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

# შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ - იმპლემენტაცია. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

## საარჩევნო კოდექსის ცვლილებები მესამე მოსმენით დამტკიცდა

2020 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა 94 ხმით ერთის წინააღმდეგ, მესამე მოსმენით დაამტკიცა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები.<sup>1</sup> საკანონმდებლო რეფორმის მიზანი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვა იყო.<sup>2</sup> ცვლილებები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით: პარტიების დაფინანსების ახალი მოდელი, საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესი, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების საარჩევნო აგიტაციაში ჩართვის შეზღუდვა, მედიაკამპანია და საეთერო დრო, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ამკრძალავი დამატებითი რეგულაციები, გენდერული კვოტირების შემოღება და სხვა.<sup>3</sup>

პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორებმა საქართველოს პარლამენტს ცვლილებების მიღება მიულოცეს, მიესალმნენ ღია და ინკლუზიურ პროცესს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.<sup>4</sup> თუმცა, მათი აზრით, კანონმდებლობაში რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები და საჭიროა დამატებითი ზომების მიღება ამომრჩევლის შესაძლო დაშინების წინააღმდეგ, საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დავების გადაჭრის პროცესის განმტკიცებისა და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ალტერნატიული კამპანიის მეთოდების შემუშავების მიმართულებებით.<sup>5</sup>

რეფორმას გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი და განაცხადა, რომ მიესალმება სასიკეთო ცვლილებებს კანონმდებლობაში,<sup>6</sup> თუმცა, მისი თქმით, ქვეყანამ ხელიდან გაუშვა ახალი საარჩევნო კანონმდებლობის უფრო ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა.<sup>7</sup> მან ასევე განაცხადა, რომ „სასურველი იქნებოდა უფრო ამბიციური

<sup>1</sup> „პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 02.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2DGmZNY>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gyrcIj>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>4</sup> „განაცხადება ეუთო/ოდირის რეკომენდაციაზე დაფუძნებული საარჩევნო რეფორმების მიღების შესახებ (2 ივლისი)“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 02.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3a1dR2B>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> „კარლ ჰარცელი - სასურველი იქნებოდა უფრო ამბიციური რეფორმების განხორციელება ეუთო/ოდირის მიერ რეკომენდებულ საკვანძო სფეროებში, როგორებიცაა: ამომრჩეველზე ზეწოლა, დავების განხილვა და კომისიების დაკომპლექტება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 03.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2EYpLPx>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>7</sup> იქვე.

რეფორმების განხორციელება ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) მიერ რეკომენდებულ საკვანძო სფეროებში, როგორებიცაა – ამომრჩეველზე ზეწოლა, დავების განხილვა და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება“.<sup>8</sup>

საია მიესალმა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა, ორგანიზაციის აზრით, კვლავ რჩება საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად. კერძოდ, აუცილებელია: (1) სააგიტაციო მასალის განთავსების შეზღუდვის დისტანციის გაზრდა 100 მეტრამდე და იმავე რადიუსში ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის ყოფნის აკრძალვა (გარდა ამომრჩევლისა); (2) არჩევნების წინა დღის „სიჩუმის დღედ“ გამოცხადება; (3) საარჩევნო ადმინისტრაციის სრულად დაკომპლექტება პროფესიული ნიშნით; (4) საარჩევნო რეგისტრაციისას პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენლობის 50%-მდე გაზრდა.<sup>9</sup> საიას რეკომენდაციები ფარავს შემდეგ საკითხებსაც: სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის გასაჩივრება, საარჩევნო დავების რეგულაციების მონესრიგება და გასატანი ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანის წესები.<sup>10</sup>

## აჭარის კონსტიტუციის ცვლილებები

2019 წლის 9 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში: უმაღლესი საბჭო) 14 წევრის მიერ დაინიცირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი.<sup>11</sup> 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კი საყოველთაო-სახალხო განხილვის ფორმატით 7 შეხვედრა გაიმართა, აქედან 5 – მუნიციპალიტეტებში, ერთი – აკადემიურ წრეებთან და სტუდენტებთან და ერთიც პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.<sup>12</sup> შემაჯამებელი ოქმის თანახმად, განიხილებოდა უმაღლესი საბჭოს არჩევნების სრულად პროპორციული წესით ჩატარება 2020 წლიდან, ნულოვანი ბარიერის პირობებში, საქართველოს პარლამენტის მსგავსად.<sup>13</sup>

კანონმდებლობის მიხედვით, პროექტი წარედგინება უმაღლეს საბჭოს, რომელიც მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის აქვეყნებს.<sup>14</sup> კონსტიტუციური პროექტების განხილვის მიზნით, საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია, მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის პრინციპის გათვალისწინებით, მართავს შეხვედრებს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში.<sup>15</sup> 2019 წლის საყოველთაო-სახალხო განხილვების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ზემოთ ხსენებული პროექტის განხილვისას მასში გარდამავალი დებულება ჩაამატა. 2020 წლის პირველ ივლისს ავტონომიურ დონეზე არჩევნების შერეული წესით ჩატარებას (18 პროპორციული და 3 მაჟორიტარული) პირველი მოსმენით 15-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.<sup>16</sup> ოპოზიცია ბოიკოტის ნიშნად სხდომას არ დაესწრო.<sup>17</sup> მათი განცხადებით, განხილვებზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ პროპორციული სისტემა, ამიტომ

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> საინფორმაციო ბიულეტენი №9, გვ.8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის შემაჯამებელი ოქმი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Cyiqx>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>15</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 109-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>16</sup> „15 ხმით აჭარის კონსტიტუციაში ცვლილება დაამტკიცეს, ოპოზიცია სხდომას არ ესწრებოდა“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 01.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3axLBot>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>17</sup> იქვე.

შერეული მოდელის დამტკიცებით ირღვევა კანონით დადგენილი პროცედურები.<sup>18</sup> უმაღლესმა საბჭომ ცვლილებები საბოლოოდ ამ სახით, მესამე მოსმენით, 2020 წლის 5 ივლისს დაამტკიცა,<sup>19</sup> ხოლო საქართველოს პარლამენტმა - 2020 წლის 17 ივლისს.<sup>20</sup>

კანონმდებლობით, უმაღლეს საბჭოს საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა არ ეკრძალება. მთავარია, რომ ის არსებითად არ გასცდეს განხილულ თემებს. არსებით მოდიფიცირებად ჩაითვლება უმაღლესი საბჭოს მიერ პროექტში ისეთი საკითხის დამატება, რომელიც თავდაპირველ ვერსიაში საერთოდ არ შედიოდა (მაგალითად, საარჩევნო სისტემის გარდა, ცვლილებების შეტანა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესში). ამდენად, საია მიიჩნევს, რომ პროცედურა არ დარღვეულა.

**ორგანიზაცია მიესალმება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პროპორციულთან მაქსიმალურად დაახლოებული მოდელის მიღებას. იმავდროულად, წუხილს გამოთქვამს, რომ 2020 წლის არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით არ ჩატარდება.**

## **ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა**

2020 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონპროექტი 88 ხმით, ერთხმად,<sup>21</sup> მესამე მოსმენით დაამტკიცა.<sup>22</sup> ცვლილებების თანახმად, თუ კომისიის მიერ ავტორიზებული/ლიცენზიის მქონე პირისთვის დაკისრებული ჯარიმა ვერ უზრუნველყოფს კომისიის გადაწყვეტილების აღსრულებას, კომისია უფლებამოსილია, დანიშნოს სპეციალური მმართველი, რომელიც ამ გადაწყვეტილებას აღასრულებს.<sup>23</sup>

ცვლილებებთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემური საკითხი იკვეთება:<sup>24</sup>

(1) საქართველოში მოქმედი მაუწყებლების დიდი ნაწილი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ და ლიცენზიის მფლობელ პირებს წარმოადგენს და ეს დებულება მათზე პირდაპირ გავრცელდება. ცვლილებები კომისიას მისცემს საშუალებას, დანიშნოს სპეციალური მმართველი მათში და მიიღოს მმართველობითი გადაწყვეტილებები;

(2) კომისიის მიღებული გადაწყვეტილება მისი გასაჩივრებით არ შეჩერდება;

(3) კანონპროექტი განიხილეს დაჩქარებული წესით, მასზე არ გაკეთებულა სავალდებულო შეფასება რეგულირების ზეგავლენასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ კანონპროექტის დაუყოვნებლივ განხილვა აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა, დასაბუთების ნაწილში ბუნდოვანია, თუ რაში მდგომარეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

**საია უარყოფითად აფასებს კანონპროექტის მიღებას და მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ამ ცვლილებების კრიტიკული მედიის წინააღმდეგ გამოყენება. ამ რეგულაციებით წინასაარჩევნოდ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკი არსებობს.**

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> „აჭარის უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციური ცვლილებების კანონი მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 05.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2F84SS3>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>20</sup> „პარლამენტის 29 ივნისიდან მოწვეულმა რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაასრულა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3a35y6l>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>21</sup> კენჭისყრას არ ესწრებოდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები.

<sup>22</sup> „პარლამენტის 29 ივნისიდან მოწვეულმა რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაასრულა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3a35y6l>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>23</sup> საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gxfZ4E>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>24</sup> „კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მომზადებული კანონპროექტი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს შეიცავს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 08.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2DzsHSf>, განახლებულია: 06.08.2020.

## ბათუმის მერის გადადგომა

2020 წლის 16 ივლისს ბათუმის მერი ლაშა კომახიძე გადადგა.<sup>25</sup> ასევე, გადადგა ვიცე-მერი ჯაბა ტულუშიძე.<sup>26</sup> ლაშა კომახიძე პირდაპირი წესით 2017 წელს აირჩიეს და უფლებამოსილების ვადა 2021 წლის ოქტომბერში ენურებოდა.<sup>27</sup> მნიშვნელოვანია უფლებამოსილებაზე უარის თქმის თარიღი. ლაშა კომახიძეს ეს გადაწყვეტილება 2020 წლის 15 ივლისამდე რომ მიეღო, მერის არჩევნები მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართებოდა,<sup>28</sup> ახლა კი ვადამ წელიწად-ნახევრით გადაინია. კანონის მიხედვით, თუ მერის უფლებამოსილება 15 ივლისის შემდეგ შეწყდა, რიგგარეშე არჩევნები მომდევნო წლის მაისში გაიმართება,<sup>29</sup> მაგრამ თუ მომდევნო წელი ისედაც საარჩევნო წელია, როგორც 2021, მაშინ რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება.<sup>30</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ კენჭისყრა მომდევნო წლის ოქტომბერში ჩატარდება, ამ პერიოდში კი ქალაქის თავის მოვალეობას დანიშნული პირი შეასრულებს. ეს თანამდებობა არჩილ ჩიქოვანმა დაიკავა, რომელიც მანამდე აჭარის მთავრობის აპარატის უფროსი იყო.<sup>31</sup>

საიას შეფასებით, მერისა და მმართველი უმრავლესობის მხრიდან ვადებით მანიპულირება ამომრჩევლის უპატივცემულობაა. ამ ნაბიჯით მათ ქალაქის მცხოვრებლებს წაართვეს შესაძლებლობა, თავად განესაზღვრათ ქალაქის თავის ვინაობა, გაეკეთებინათ პოლიტიკური არჩევანი.

## ცესკომ „რესპუბლიკურ პარტიას“ საპარლამენტო არჩევნებისთვის რეგისტრაციაზე უარი უთხრა

2020 წლის 17 ივლისს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განკარგულების ძალით, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტად ვერ დარეგისტრირდა.<sup>32</sup> განკარგულებაში რეგისტრაციაზე უარის თქმის მოტივად მითითებულია პარტიის მიერ განცხადების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენა.<sup>33</sup>

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრაციის დროებითი წესის თანახმად, პარტიამ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ცესკოს თავმჯდომარეს არჩევნების წლის 1-ლი იანვრიდან 15 ივლისამდე დროის ინტერვალში უნდა მიმართოს.<sup>34</sup> ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.<sup>35</sup> ეს წესი იმ პარტიებს ეხება, რომლებსაც პარლამენტში

<sup>25</sup> „ბათუმის მერი ლაშა კომახიძე გადადგა“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 16.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OvIFzZ>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> „ბათუმის მერი ლაშა კომახიძე გადადგა“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 16.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OvIFzZ>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>28</sup> საარჩევნო კოდექსის 169<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> „ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანმა ჩაანაცვლა, რომლის მეჯვარეც თორნიკე რიჟვაძეა“, საინფორმაციო პორტალი „REGinfo.ge“, 16.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZxZdzy>, განახლებულია: 06.08.2020.

<sup>32</sup> „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე განკარგულება №29/2020 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30ENbSb>, განახლებულია: 09.08.2020

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> საარჩევნო კოდექსის 195-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>35</sup> იქვე, მე-10 პუნქტი.

წარმომადგენელი არ ჰყავთ.<sup>36</sup>

„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წევრთა განმარტებით, მათ კანონმდებლობის მოთხოვნა არ დაურღვევიათ და განცხადება საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის მოთხოვნით დადგენილ ვადაში, 14 ივლისს ჩააბარეს ფოსტას.<sup>37</sup> განცხადება ცესკომ მომდევნო დღეს, 15 ივლისს მიიღო.<sup>38</sup> მათი პოზიციით, ნორმა განცხადების აუცილებლად ფიზიკური ფორმით წარდგენის ვალდებულებას არ ითვალისწინებს და ვადის დაცვით ფოსტისთვის ჩაბარება კანონით დადგენილ მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება.<sup>39</sup> პარტიის წარმომადგენლებმა ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გაასაჩივრეს.<sup>40</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული სარჩელი დაკმაყოფილდა და „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ სუბიექტად შეძლებს მონაწილეობას.<sup>41</sup>

**საია მიესალმება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და კანონის ამგვარ ინტერპრეტაციას.**

## ხელვაჩაურის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

2020 წლის 30 ივლისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხდომაზე, საკრებულოს განკარგულებით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ვაჟა თავდგირიძეს საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის გამო უფლებამოსილება შეუწყდა.<sup>42</sup> თავდგირიძის გაშვება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტით დაიშალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციაც.<sup>43</sup>

2020 წლის 27 ივლისს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი განიხილა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ,<sup>44</sup> რომელმაც წარდგენილი ჯანმრთელობის ცნობის მიუხედავად, ვაჟა თავდგირიძის საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობა არასაპატიოდ მიიჩნია.<sup>45 46</sup>

კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში.<sup>47</sup> ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს.<sup>48</sup> ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, განსაზღვრულია საკრებულოს წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის ამ კანონის იდენტური საფუძველი და პროცედურა იმის დაზუსტებით, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> „ცესკომ რესპუბლიკელები არჩევნებში არ დაარეგისტრირა“, ნეტგაზეთი, 19.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XJwNhp>, განახლებულია: 09.08.2020

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> „სასამართლომ რესპუბლიკელების სარჩელი დააკმაყოფილა, ვრეგისტრირდებით საარჩევნოდ — სამნიძე“, საინფორმაციო პორტალი „on.ge“, 20.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fHCCCi> განახლებულია: 09.08.2020.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> „სასამართლომ დააკმაყოფილა რესპუბლიკელების სარჩელი „ცესკოს“ წინააღმდეგ - სამნიძე“, 20.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ac1wso>, განახლებულია: 09.08.2020

<sup>42</sup> ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება, 2020 წელი, ივლისი, ქ.ბათუმი.

<sup>43</sup> „ენმ-ს წევრი, რომელსაც მძიმე დიაგნოზი აქვს, უმრავლესობამ ხელვაჩაურის საკრებულოდან გარიცხა“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 30.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XAnFeV>, განახლებულია: 09.08.2020.

<sup>44</sup> ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა, 27.07.2020 ქ. ბათუმი.

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“.

<sup>48</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია არის უფლებამოსილი, გაარკვიოს გაცდენის მიზეზი და მოამზადოს დასკვნა, არის თუ არა ეს მიზეზი საპატიო.<sup>49</sup>

საკრებულოს გადაწყვეტილება ვაჟა თავდგირიძის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ეფუძნება ხისტი მიდგომას. დეპუტატის მიერ წარდგენილ ცნობაში მითითებულია დაავადების დიაგნოზი, ჩატარებული მკურნალობის პროცედურები და პაციენტის მდგომარეობა,<sup>50</sup> რაც, საიას შეფასებით, საკრებულოს მუშაობაში ჩაურთველობის საპატიო მიზეზს წარმოადგენს.<sup>51</sup> ცნობაში არის უმნიშვნელო ხარვეზი თარიღში (2020-ის ნაცვლად წერია 2030 წელი). სხვა მხრივ, ამ დოკუმენტის ავთენტურობა ეჭვებს არ იწვევს. დეპუტატის მძიმე დიაგნოზის ფონზე, გაუგებარია, რატომ მიიჩნია საკრებულომ ეს მდგომარეობა „არასაპატიოდ“.

**საიას მოსაზრებით, საკრებულოს ამგვარი გადაწყვეტილება სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, რაც წინასაარჩევნოდ ასუსტებს ოპოზიციის წარმომადგენლობას საკრებულოში, ძაბავს წინასაარჩევნო გარემოს და ზრდის პოლარიზაციას.**

## გიორგი რურუას საქმე

2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მენილე გიორგი რურუა დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.<sup>52</sup> იგი 2019 წელს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციების დროს დააკავეს და ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ფლობა წაუყენეს.<sup>53</sup>

2020 წლის 31 ივლისს 20-მა ოპოზიციურმა პარტიამ ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.<sup>54</sup> მათი თქმით, განაჩენი ბიძინა ივანიშვილის „პოლიტიკური გადაწყვეტილება“, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლო სისტემის ხელისუფლების დაკვეთებისადმი „მორჩილების“ მაგალითია.<sup>55</sup>

ფაქტს ფართო გამომხაურება მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ევროპარლამენტის წევრმა ანა ფოტიგამ საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს გიორგი რურუას შეწყალებისკენ მოუწოდა. იგი მედიამფლობელის გათავისუფლებას 8 მარტის შეთანხმების ნაწილად მიიჩნევს.<sup>56</sup> ევროპარლამენტარმა და ლიეტუვის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ანდრიუს კუბილიუსმა განაცხადა, რომ „სამართლის პოლიტიზება გრძელდება“.<sup>57</sup> აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი იმედოვნებს, რომ მოსამართლეს, რომელმაც ეს განაჩენი გამოიტანა, ჰქონდა საშუალება გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, პოლიტიკური ჩარევის გარეშე მიეღო.<sup>58</sup> აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ჯიმ რიშმა განაცხადა, რომ იგი „ძალზედ

<sup>49</sup> „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №07 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, 19.02.2019, საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდი, <https://bit.ly/2XA4S3w>, განახლებულია: 09.08.2020.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> „სასამართლომ გიორგი რურუას 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 30.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kceQSt>, განახლებულია: 09.08.2020.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> „20 ოპოზიციური პარტია გიორგი რურუას განაჩენთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებს“ საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 31.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XBu1uN>, განახლებულია: 09.08.2020.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> „ევროპარლამენტარი ფოტიგა ზურაბიშვილს რურუას შეწყალებისკენ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 30.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kk4SOM>, განახლებულია: 09.08.2020.

<sup>57</sup> „გრძელდება სამართლებრივი პროცესის პოლიტიზება — კუბილიუსი რურუაზე“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 31.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gy1s93>, განახლებულია: 09.08.2020.

<sup>58</sup> „ვიმედოვნებ, მოსამართლემ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო — დეგნანი რურუაზე“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 31.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iqGCcj>, განახლებულია: 09.08.2020.



შეშფოთებულია“ გიორგი რურუას მიმართ „ფიქტიურ ბრალდებებზე“ გამოტანილი განაჩენით და მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რურუა უნდა შეინყალოს.<sup>59</sup> „სასამართლო სისტემა პოლიტიკური მიზნებისთვის არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული“, - აღნიშნა რიშმა.<sup>60</sup> 2020 წლის 31 ივლისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ გიორგი რურუას არ შეინყალებს.<sup>61</sup>

საია თბილისის საქალაქო სასამართლოში გიორგი რურუას საქმეს სასამართლო მონიტორინგს უწევდა.<sup>62</sup> მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბრალდების მხარის პოზიცია, მტკიცებულებები და არგუმენტაცია სუსტი იყო. პრობლემური იყო როგორც დაკავების ეპიზოდი, ისე გიორგი რურუას მიმართ ჩატარებული პირადი ჩხრეკა, ჩხრეკის შემდგომ შედგენილი ოქმი, ავტომობილის ჩხრეკა, ახალი ბრალის<sup>63</sup> წარდგენა ნიმუშის გაცემაზე უარის გაცხადების გამო. საია აგრძელებს ამ საქმეზე დაკვირვებას.

---

<sup>59</sup> „სენატორი რიში: “სალომე ზურაბიშვილმა რურუა უნდა შეინყალოს”, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 31.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fucieF> , განახლებულია: 09.08.2020.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> „სენატორ რიშის საპასუხოდ ზურაბიშვილი ამბობს, რომ რურუას არ შეინყალებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 31.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XyrpNY> , განახლებულია: 09.08.2020.

<sup>62</sup> საიას მონიტორი დაესწრო საქმის არსებითი სხდომის 23 პროცესს.

<sup>63</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული „განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა“.